საქართველოს ორივე გუნდმა განვლილ, მესამე ტურში სტუმრად გამართა ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრები: თბილისის დინამოელებმა ალმა–ათის „ქაირათთან“ ითამაშეს, ხოლო ქუთაისის ტორპედოელებმა – მოსკოვის თანაკლუბელებთან.

16 მარტს ალმა–ათაში შუაგული ზამთრის დღე იდგა, თოვდა გადაუღებლად, თამაში უაღრესად ჭირდა და ამ პირობებში პირველ პლანზე წამოიწია ფეხბურთელთა წმინდა ფიზიკურმა მომზადებამ, ათლეტურმა მონაცემებმა. თამაშის დასაწყისში ერთგვარ ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლებმა მიაღწიეს. ისინი განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდნენ. პირველ ორ ტურში სტუმრად აღებული 2 გოლის შემდეგ საკუთარ მინდორზეც გამარჯვების იმედი ჰქონდათ. მასპინძელთაგან იერიშების დროს გამოირჩეოდნენ ფეხლევანიდი, კარაჩენცევი, კარაჩუნი, თუმცა მათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. ამ მომენტებში მძიმე დატვირთვა დააწვა დინამოელთა დაცვას და მეკარე გაბელიას. ტაიმის დასასრულს თბილისელებმა რამდენადმე გამოასწორეს მდგომარეობა. ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობანი მიეცათ გაზაევს და ჩელებაძეს. შესვენების შემდეგ თბილისელებმა უფრო აქტიურად, ორგანიზებულად ითამაშეს. ისინი ხშირად ახორციელებდნენ კონტრიერიშებს, „ქაირათის“ კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. ერთხელ ჩელებაძე კარის წინ კარგ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა მიზანში. ბურთის გატანა მასპინძლებსაც შეეძლოთ, კერძოდ, ლედოსკიხს, მაგრამ ამ მომენტში კარგად ითამაშა კუდინოვმა და კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

დაძაბული ბრძოლა მატჩის ბოლო წუთებამდე არ შემწყდარა, საბოლოოდ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო წარმატების მოპოვება – 0:0.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს. „ქაირათი“ – უბიკინი, ბატირბაევი, რაფიკოვი, იაროვენკო, კულინიჩი, ნიკიტენკო, კარაჩუნი (კლიმოვი), ლედოვსკიხი, სალიმოვი, მასუდოვი, ფელევანიდი; „დინამო“ – გაბელია, კეტაშვილი, მიქაბერიძე, ჭედია, კუდინოვი, ჯოხაძე (გოგრიჭიანი), მახარაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი, გაზაევი, ჩელებაძე. იმსაჯა მინსკელმა ვ. ჟუკმა. დუბლიორთა შეხვედრაც ასევე ფრედ დამთავრდა – 0:0.

ლელო 28.03.1986